



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
SAKREBULO OF MUNICIPALITY OF POTI CITY



ბრძანება:ბ43.43213213

თარიღი:17/11/2021

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ნოემბრის თვის სამუშაო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 29 ოქტომბრის №:ბ43.432130214 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1.შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ნოემბრის თვის სამუშაო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 29 ოქტომბრის №:ბ43.432130214 ბრძანებაში კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მე-13 სხდომა ნაცვლად 2021 წლის 29 ნოემბრის 15⁰⁰სთ-ისა, გაიმართოს 2021 წლის 25 ნოემბერს 12⁰⁰ სთ, ხოლო საკრებულოს ბიუროს სხდომა ნაცვლად 2021 წლის 29 ნოემბრის 14³⁰სთ-ისა, გაიმართოს 2021 წლის 25 ნოემბერს 11³⁰ სთ.

2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ლელა ჩინუამ უზრუნველყოს საკრებულოს 2021 წლის მე-13 სხდომის ჩატარების ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა.

3.„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის №3).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

